პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ნოემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 216 (10 135) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

ერთი მედლით მეტი

სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიც ჭიდაობაა, რესპუბლიკური ოლიმპიადების დონის შეფასება იოლი საქმე არ გახლავთ. აქ ყველაფერი ობიექტურ მონაცემებს ვერ დაეყრდობი, როგორც ვთქვათ, ცურვაში, სადაც სპორტსმენთა კონკრეტული შედეგების მიხედვით თამამად შეიძლება ზუსტი შეფასების გამოტანა. ამიტომ ჭიდაობის სპეციალისტები კატეგორიულ მსჯელობას ერიდებიან, ზოგი იმასაც კი ამბობს, მოვა საკავშირო ტურნირის დრო და ვნახოთო.

თუმცა გამოცდილი მწვრთნელია თვალი ნაინც საკმაოდ ზუსტად აფასებს შერკინების ხარისხს. რამდენიმე მათგანმა, როცა ვკითხეთ, აღნიშნა ჩვენი კლასიკური სტილის მოჭიდავეთა გაკეთებული წინსვლა რესპუბლიკურ ჩემპიონატზე, რომელიც რამდენიმე დღის წინ დამთავრდა თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ჭიდაობის სპორტსკოლის დარბაზში.

ბოლო ხანს ჩვენს „კლასიკოსებს" მართლაც დაეტყოთ ეს „გარკვეული წინსვლა", ეს უფრო ახალგაზრდებს შეეხებათ, რომელთაგანაც რამდენიმემ გამარჯვება მოიპოვა თანატოლთა საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში და თვით მსოფლიო ჩემპიონატზეც კი (გ. კოლუაშვილი [illegible] გოგა მართველაძე [illegible] სიკურ სახეობაში პროგრესი მეტისმეტად ძნელი მისაღწევი გახდა. მიზეზი მრავალია, თუნდაც ის, რომ ყველგან ამაღლდა მოჭიდავეთა ოსტატობის დონე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენში კლასიკური ჭიდაობა ჰოპულარობით ერთგვარად დაჩაგრეს ჭიდაობის სხვა სახეობებმა, რაც ახალგაზრდების შერჩევის ხარისხზე მოქმედებს.

კლასიკური ჭიდაობის თანამედროვე პროგრესისა და ამ სახეობის მკაცრი წესების პირობებში კარგ შედეგებს მხოლოდ ფიზიკურად ძალზე ძლიერი, ილეთებს ზედმიწევნით დაუფლებული მოჭიდავე თუ მიაღწევს. ასეთი სპორტსმენების აღზრდა თვით საქართველოში — ჭიდაობის ამ ტრადიციულ ქვეყნაშიც კი ჭირს, და წარსულის მდიდარი ტრადიცია, ოღონ არ [illegible] გაფლობილდა. ეს მართლ[illegible]

იხ. მე.2 გვ.



საქართველოს სპორტსახკომში

„უფრო ძნელი სეზონი გველის"...

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გამართულ საქველმოქმედო მატჩის წინ, საქართველოს სპორტსახკომში შედგა შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთის ელიტაში დაბრუნებულ ლანჩხუთის „გურიასთან". შეხვედრაზე ითქვა, რომ, საერთოდ, ბოლო დროს ქართული ფეხბურთი და, უპირველეს ყოველისა, მისი ლიდერი თბილისის „დინამო" ვერ გვაზარებს. მით უფრო სასიხარულო და საამაყოა დღეს ლანჩხუთელთა წარმატება, საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საპატიო სგზურის მოპოვება, ამასთან მეტად დამაჯერებლად — საქართველოს ამ პატარა ქალაქის ფეხბურთელებმა სეზონი მაღალ დონეზე, სტაბილურად ჩაატარეს და ფინიშის სწორზე თავის მთავარ მეტოქეს ალმაათის „კაირატს" მთელი რვა ქულით გაუსწრეს. ეს დიდი დამსახურებაა ლანჩხუთელი ფეხბურთელების, მისი მწვრთნელების, უპირველეს ყოვლისა კი გულმოდგინე სპეციალისტის მიხეილ ფომენკოსი. იგი, რომ იტყვიან, მართლაც მთელი სულითა და გულით „დაავადდა" ლანჩხუთური ფეხბურთით და მთელი თავისი ცოდნა და ენერგია გახარჯა ამ ორი სეზონის განმავლობაში.

სოხუმის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა — სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ანატოლი ხორავაძემ განაცხადა: მუდამ სჯეროდა, რომ ქართულ ფეხბურთს უმაღლეს ლიგაში ორი გუნდის ყოლა ძალუძს და, რომ ახალგაზრდა ლანჩხუთელი ფეხბურთელები თავისი შესაშური შემართებით მთელი ძალით იბრძოლებენ უძლიერესთა მხარდამხარ.

გულთბილი იყო ქართული ფეხბურთის უხუცესი წარმომადგენლის — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საპატიო მსაჯის ნესტორ ჩხატარაშვილის გამოსვლაც: „ოღონ არ იყოს, გაწბილებულ ქართველ გულშემატკივრებს გვჯერა, რომ ახალ სეზონში „გურია" კიდევ უფრო მოუმატებს თამაშს, კვლავაც გაგვახარებს. საამისოდ გუნდს ყველა მონაცემი აქვს".

შეხვედრაზე გამოსულმა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ ნუგზარ ებრალიძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „გურიის" სახით ქართულ ფეხბურთს საიმედო ცვლა მოეკვლინა. იმედია, რომ საქართველოს სპორტსახკომი და რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველო, რომლებიც მუდამ მხარდაჭერასა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ლანჩხუთელთა გუნდს, ამიერიდან კიდევ უფრო დიდ ზრუნვას გამოიჩენენ მასზე.

— ძნელი, საკმაოდ „გაჭიმული" სეზონი გვქონდა, მიხარია რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა ბოლომდე გაუძლეს ბრძოლას, ფინიშამდე არ მოადუნეს ტემპი — თქვა „გურიის" მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ფომენკომ — ვიცით, რომ ბევრად უფრო იოლია უმაღლეს ლიგაში საგზურის მოპოვება, ვიდრე იქ დარჩენა. ვეცდებით არ გავაწბილოთ ჩვენი თაყვანისმცემლები, დავამტკიცოთ რომ „გურიის" წარმატება შემთხვევითი არ იყო. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი საწვრთნელი ბაზა გრიგოლეთში ძირფესვიანად განახლდება, ეს ერთნაირად ეხება როგორც თვით შენობას, ისე სავარჯიშო მოედნებს.

— 15 ნოემბრიდან „გურია" ერთთვიან არდადეგებზე მიდის, მერე კი შევუდგებით ინტენსიურ მზადებას ახალი, გაცილებით უფრო ძნელი სეზონისათვის — თქვა გუნდის კაპიტანმა, სპორტის ოსტატმა ბადრი დანელიამ — უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალ გათამაშებას უძლიერესთა შორის ჩვენი გუნდი დაამთავრებს ბევრად უკეთ, ვიდრე ეს 1987 წლის სეზონში იყო. შეხვედრის დასასრულს „გურიის" ფეხბურთელებს გადაეცათ სპორტსახკომის საპატიო სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომში შეხვედრის შემდეგ.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამხანაგური შეხვედრა

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ლანჩხუთის „გურია" და ქუთაისის „ტორპედო".

თამაში დამთავრდა „გურიის" გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს გურულმა (2) და კორღალიძემ, ხოლო ტორპედოელთა მხრივ — თევზაძემ და მეგრელაძემ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დასვენების დღეების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე „რესპუბლიკაში დასვენების დღეების შაბათ-კვირიდან ოთხშაბათ-ხუთშაბათს გადატანის და ამასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის დადგენილების მოქმედების ვადა გადატანილია სხვა დროისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 ნოემბრის დადგენილების ძალაში შესვლის ვადები მოსახლეობას ეცნობება დამატებით.

(საქინფორმი).

„ვერცხლის" ტურნირი

ორი მეორე ადგილი დაიკავეს ჩვენმა ძიუდოისტებმა ჰელსინკის საერთაშორისო ტურნირშიც, რომელშიც მრავალი ქვეყნის, მათ შორის იაპონიის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სოხუმელმა მაკარ თვალაძემ ამ წარმატებას 78 კგ წონითს კატეგორიაში მიაღწია, ხოლო ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ — მძიმე წონაში. ორივემ ფინალური შერკინება მინიმალური სხვაობით წააგო. თვალაძეც და გუბელაძეც დინამოელები არიან.

ლეილა მესხი წინ მიიწევს

ნიუვილი (აშშ). აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მორიგი წარმატება მოიპოვა ქართველმა სპორტსმენმა ლეილა მესხმა, რომელმაც ბულგარელ მეტოქეს კატერინა მალეევას სძლია — 2:6, 6:3, 7:5 და ასპარეზობის ნახევარფინალში გავიდა.

კიეველმა ნატალია მედვედევამ ჰოლანდიელ მარონ ბოლეგრაფთან დათმო ორთაბრძოლა — 6:7, 3:7. 7:5, 3:6, ამერიკელების სიუზენ სლოუნისა და უენდი უაიტის შეხვედრა პირველის გამარჯვებით აღინიშნა 6:2, 6:4, კანადელმა ჰელენ კელესმა კი ჩეხოსლოვაკიელი იანა პოსპეშილოვა დაამარცხა — 6:2, 6:3.

ერთბაშად ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი

ამერიკის ქალაქ ვესტორანჯში დაიწყო სამბისტთა ერთბაშად ოთხი მსოფლიო ჩემპიონატი. აქ პირველობას ეცილებიან ერთმანეთს ჭაბუკები, იუნიორები, მოზრდილები და სამბისტი ქალები. შეჯიბრებაში მონაწილეობენ: ბულგარეთის, ისრაელის, ესპანეთის, იტალიის, მონღოლეთის, საბჭოთა კავშირის, აშშ-ს იაპონიისა და კანადის წარმომადგენლები.

ასპარეზობაში პირველად ჭაბუკები და იუნიორები ჩაებნენ. მერე კი სარბიელზე გამოვლენ მოზრდილები და ქალები. ჩემპიონატის ყველაზე ტიტულოვანი მონაწილეა მოსკოველი ვიქტორ შკალოვი (მძიმე წონა). იგი ზუთჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი.

შეჯიბრებაში გამოვლენ, აგრეთვე, სხვა გამოჩენილი საბჭოთა სამბისტებიც. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, გორელი ჯემალ მუქელიშვილი (82 კგ), კიროვაკანელი გაგა კაზარიანი (62 კგ) და ლენინაკანელი გურგენ ტუტხალიანი (52 კგ). საბჭოთა ნაკრების სხვა ოთხი მონაწილე დებიუტანტია.

პრიზიორი საგარეჯოელია

რიბინსკში დამთავრებულ სამბისტთა პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საკავშირო ასპარეზობაზე, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის 280 მოჭიდავე იყო ჩაბმული, 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში საპატიო მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა საგარეჯოელმა სპორტის ოსტატმა ჯობა კუპატაძემ. იგი მალე წარსდგება საკავშირო თასის გათამაშებაში, რომელიც კიევის სარბიელზე გაიმართება.

რაულ ციციევი.
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ლონდონი. „უემბლის" სტადიონზე მიმდინარე „გრან პრის" სერიის ჩოგბურთელთა ტურნირში მოსკოველ ანდრეი ჩესნოკოვს აჯობა 17 წლის ამერიკელმა მაიკლ ჩანგმა — 6:3, 6:4. ფრანგმა გი ფორეემ კი ამერიკელი რობერტ სეგუსო დაამარცხა — 7:5, 6:3.

დელი. ბალახის ჰოკეისტ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სამხრეთ კორეისა და ჩინეთის გუნდები. ნახევარფინალში მათ შესაბამისად დაამარცხეს იაპონიისა (4:0) და ესპანეთის (3:2) წარმომადგენლები.

მილანი. იტალიელი სამთო-მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი

ცელებრიკი — მკიმსქელი



ალბერტო ტომბა თავს კარგად გრძნობს და მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო თასის გათამაშებაში, რომელიც 23 ნოემბერს დაიწყება ამერიკის სათხილამურო ცენტრ პარკ სიტიში. იგი გამოვა სპეციალური და გიგანტური სლალომის ტრასებზე.

ლონდონი. „ბოლო ათწლეულის" საუკეთესო სპორტსმენად ინგლისელმა ჟურნალისტებმა დაასახელეს არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა. მასზე 8 ქულით ნაკლები მიიღო ამერიკელმა მძლეოსანმა კარლ ლიუისმა. მესამე ადგილი რეფერენდუმში მეორე ამერიკელმა მძლეოსანმა ედვინ მოზესმა დაიკავა. იგი გამარჯვებულს 19 ქულით ჩამორჩა.

სტოკჰოლმი. შვეიცის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა კორტის მასპინძელი მაინს ვილანდერი, რომელმაც საკმაოდ ადვილად დაამარცხა თანამემამულე იან გუნარსონი — 6:3, 6:0. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია მეორე შვედმა მაგნუს გუსტაფსონმაც. მან მეოთხედფინალში ანდრე აგასის აჯობა 6:2, 7:6.

საუკეთესოთა შორის

ალმა-ათა. უშუს საკავშირო ფედერაციამ აზახეთის ფედერაციასთან ერთად ჩაატარა სპორტის ამ სახეობის საკავშირო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ 10 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები.

ფესტივალის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ უშუში, ციგუნსა და სანდაში. ჟიურიმ საუკეთესო კოლექტივთა შორის დაასახელა საქართველოს გუნდი. აქვე იყვნენ ყირგიზეთის, აზახეთის, თურქმენეთის, ჩელიაბინსკისა და მინსკის კოლექტივები.

ფესტივალის დღეებში ჩატარდა უშუ-ს საკავშირო ფედერაციის კონფერენცია, რომელმაც შიილო წესდება. ფედერაციის პრეზიდენტად დამტკიცდა მწერალი გ. სვირიდოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაო ძახილი ოკეანის გაღმიდან

(ერთი შეუსრულებელი ანდერძის ‘კვალდაკვალ)

ამ ბოლო ხანს, რაც ტირანიით ბორკილდადებულმა სულმა როგორ-ლაც შვება იგრძნო და სხვა თემებთან ერთად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ერთ პათეტიკურ თემაზეც — უცხოეთში მცხოვრები ქართველების ბედზე, — გაბედა წერა და ლაპარაკი, საკმაოდ მომგებიანი გახდა ტერმინები „ნოსტალგია“ და „მიწის ყივილი“. ბედის უკუღმართობით უცხოეთში გადახვეწილ, ნოსტალგიაშეპყრობილ ჩვენს თანამემამულეებს მშობლიური მიწის ყივილი თავისკენ უხმობს, — გვესმის ხშირად და ყოველი ჩვენგანის გული მათდამი თანაგრძნობისა და თანადგომის სუფთა ოვილით ივსება. მაგრამ კაი, რომ აურვილი სურვილად რჩება და ჩვენი თანამემამულეების, თუნდაც მათი ძალიან მცირე ნაწილის, სამშობლოში დაბრუნების ოცნებაა ფრთები ვერ შეესხით. ახლა ამისი გამომწვეული მიზეზებიც შესახებ ბევრჯერ გაიგონებთ. სოციალურად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამართლებრივად, ჩემი პატრონო, იმისთანა ქვეყანა შეექმენით, რომ ყველას, და მათ შორის ძეოთხე ხარისხის ნოსტალგიით დავადებულ ემიგრანტებსაც კი წაეუხდინეთ ჩვენთან გადმობაგების ოცნება, — ამბობენ ერთნი. ზოგნი კი მთავარ მიზეზს ჩვენს უნიათობაში ხედავენ: თანამემამულეთა დაბრუნებაზე გრძნობამოოეულ ლაპარაკს იქით პრაქტიკული ნაბიჯი ჯერ ვერავის ლაპარაკეთო.

მიზეზებს თავისი მკვლევარი გამოუჩნდება. მე კი ამჯერად პატივემულ მეთანელებს ეოო ფაქტს მოვუტან და დაე დასკვნაც თავად მათ გამოიტანონ.

ნიუ-იორკის ფართო, მყვირალა პერონებით აჭრელებულ ერთ ქუჩას სამი ქართველი ტურისტი მიუყვებოდა.

— მოდით, ამ მაღაზიაში შევიდეთ, იქნებ ჩვენი გროშებით რაიმეს ყიდვა შეეძლოთო! — თქვა ერთმა და ის იყო კარი უნდა შეეღოთ, რომ მოესმათ წმინდა ქართულით —

— საქართველოდან ხართ, შემოგველოთ ჩემი თავი!

ტურისტები შეიგნენ. მათ წინ იდგა მაღალი, ბეჭებგანიერი, წლოვანი მელოტი მამაკაცი. კოლია ქვარიანი ვარო, — წარმოთქვა ალელვებულმა.

ალელდნენ ქართველი ტურისტებიც.

— გიცნობთ, ბატონო კოლია. მე ნოდარ ჯორჯიკია გახლავართ. ეს ჩემი მეუღლე ხულელიკა ნიჟარაძეა. ეს კი — ოლიმპიური ჩემპიონი მზია ჯუღელი.

ცოემლმა გაავლო ტეხილი ზოლი ქვარიანის სახეზე. კეთილად მოიხსენია ნოდარის მამა, ცნობილი პედაგოგი ჯაჯუ, 1952 წლის ოლიმპიადის ქართველ პრიზიორებს, და მათთან — თქვენც კარგად გიცნობთო, შემდეგ კი ოჯახში მიიპატიჟა. მაგრამ იმ პეროიოდგამოვლილი ადამიანისათვის კარგად ცნობილ მიზეზის გამო მიწვევაზე უარი უთხრეს.

ქვარიანს მწარედ ჩაეღიმა, შემდეგ კი ასეთი თხოვნით მიმართა საქართველოს წარგზავნილებს:

— ერთი თხოვნა მაინც შემასრულეთ: ვიცი საქართველოს ნახვა ალარ მეღირსება. ბევრი ვეცადე, მაგრამ ამაოდ, ნებართვას ვერ ვეღირსე. გთხოვთ, გადასცეთ საქართველოს მთავრობას, სპორტის მეცნიერებს, რომ, როცა ამქვეყნად ალარ ვიქნები — და როცა ამისი შესაძლებლობა შეიქნება, ჩემი ნეშტი დაწვან და ფერფლი ქუთაისის თეთრი ხიდიდან ჩემი სიჭაბუკის ლედამდინარეს — რიონს მოაფრქვიონ.

ტურისტები სატტად დარჩნენ. ოპასუხი უნდა გაეცათ ქართველი გოლიათისათვის?

— თქვენს მთავრობას ისიც გადაეცით, რომ ამ ძვირადღირებული პროცედურისათვის უკვე გადანახული მაქვს თანხა ნიუ-იორკის ეოთ-ერთ ბანკში! — თქვა მან გამომშვიდობებისას.

ეს შეხვედრა ამ 28 წლის წინათ შედგა. კითხვა კი, რომელიც მაშინ გაუჩნდათ ქართველ ტურისტებს, დღესაც პასუხს ელის. მაინც რატომ დაიმარხა ნიუ-იორკის ეოთ-ერთ სასაფლაოზე კაცი (კ. ქვარიანი 1980 წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა). რომელიც დღენიადაგ მზოლოდ ეოთს თხოულობდა: იყავით გულმოწყალენი. მაპატიეთ ასალგაზოდული სიჩქარით ჩადენილი უნებური დანაშაული და მომეცით ნება საქართველოს დავუბრუნდე. ან ასეთებიდა ამეოიკაში საბჭოთა საელჩოს. განცხადებას განცხადებაზე უგზავნიდა მას, მაგრამ ყველა მათგანი უპასუხოდ რჩებოდა; კითხვა-კითხვით პოულობდა და ვდებოდა ამეოიკაში ჩასულ თითქმის ყველა ქართველ სპორტსმენს, მიმართავდა მათ იმავე თხოვნით. ბევრ მათგანს ძვირფასი ნივთებითაც ასაჩუქრებდა. მაგრამ აოსაიდან ხმა, აოსით ბანერი (ახლა მხოლოდ კოლია ქვარიანის სულმა და ღმერთმა უწყის, რამდენ ქართველ სპორტსმენსა თუ ტურისტს სიხარულით მოუგიათ ხელზე მარტოდ შთენილი ქართველი მოჭიდავის მიერ ნაჩუქარი ოქროს საათი თუ ბეჭედი, მაგრამ მისი თხოვნის მიტანა სადაც ჯერ აოს. უბოალოდ, გადავიწყებიათ).

ერთხელ ქვარიანის ქართველმა მეგობარმა და კოლეგამ, ცნობილმა მოჭიდავემ მიშიკო მაჩაბელმა გადმომცა მისი წერილი, ჩემს ოუბილეზე მოხსენებას რომ აკეთებ, იქნებ იმისთვის გამოგადგესო. პირველი, რამაც გული მომიკლა, იყო კოლიას ჩივილი იმის თაობაზე, რომ აქ, ამეოიკაში, საქართველოს სიყვარულს, რასაც აოსოდეს ვფაოავდი, კომუნისტობად მითვლიან; ერთხანს, მთელი შვიდი წლით გამაძევეს კიდეც ამ ქვეყნიდან. საბჭოთა ელჩი კი თავის მოღალატედ მთვლის, ოა წყალში ჩავკაოდეო. აოის წერილში სიხარულის წამიეო გაელვებაც. მიშიკო, უნდა გახაოო, — წერს ქვაოიანი ომმდეკნო დღეებისაგბებზე. — აქ ჩამოსული იყო საქართველოს მთავრობის ოფიციალური პირი, ვინახულე, ავუხსენი მდგომეოეობა. შეეეედეო, დამპირდა, მოგიგვაოებ ამ საქმესო!..

მაგრამ საქართველოს მთავრობის იმ წარმომადგენელმა „ხრუშჩოვის ბობოჭრობის ჟამს“ საჭიოოდ არ ჩათვალა აუტკივარი თავის ატკივება.

ჰქონია ქვაოიანს ეოთი თხოვნაც: თუ საქართველოში დაბრუნებას ვერ მომიხერხებთ, ჩემი სურათების კოლექციი მაინც ჩაიბარეთ უსასყიდლოდო. მსოფლიოს ცნობილი მხატვრების ნაწარმოებებია, მილიონნახევარ დოლარადაა შეფასებული; მწვავდ მოვკვდები, როცა გაეოეიქრებ, რომ ჩემი სურათები საქართველოს მუზეუმს დაამშვენებს.

ამ თხოვნით უკვე მეოოე ოფიციალური პირისათვის მიუმართავს. მაგრამ მისი შეუსრულებლობითაც გული ატკინეს სიკვდილის პირას მდგარ კაცს.

როგორც ჩანს, აქაც უძრაობის ხანის ამპარტავნობამ იჩინა თავი („ჩვენ სხვისი, მითუმეტეს ემიგრანტის, სამადლო არაფეიი გვჭირს“). როგორ არ გიხსენებ ერთ ანალოგიურ ფაქტს, როდესაც ნავთობის ცნობილ მაგნატს გიულბეკიანს საბჭოთა მთავრობამ უარი უთხოა თხოვნაზე — ეოევნიდან ჩამიაძინამდე 20 კმ-ის მანძილზე მოავალსართულიან სახლებს ჩავამწკრივებ და ერევნის მოსახლეობის ბინით დაკმაყოფილების პრობლემას შეგიმსუბუქებთო, მხოლოდ ამ ქუჩას ჩემი სახელი უწოდეთო. (რას იზამ, დიდი ძალა აქვს პრინციპს: „ძირჩენილია ნახევარი მილიონი მოქალაქე უბინაოდ დარჩეს, ვიდრე გაქცეული კაპიტალისტის სახელს კეთილად იხსენიებდნენო“).

ერთი სიტყვით, საბოალო ქართველ ემიგრანტს ყველა თხოვნაზე ცივი წყალი გადავასხით, ვოლუნტაროზმის, უძრაობის პეროიოდი იყო. ემიგრანტის თხოვნის შესრულებაზე სიობილი შეიძლებოდა ძვირად დაგვჯდომოდაო. — ახლა, ალბათ, ასე იმაოთლებენ თავს ისინი, ვინც ცოუ დაპირებებით კეებავდა ცოემლმოოეულ ქართველ ემიგრანტს.

და აი, აოის საშუალება, გამოვიყენოთ ამ ეოთი მართალი კაცის მიმაოთ ჩადენილი დანაშაული, შევასოულოთ მისი თხოვნა — დაოწვას მისი ნეშტი და ფერფლი ჩამოტანილ იქნას საქართველოში.

პირველ ყოვლისა გასაკვეკვია, ნიუ-იორკის რომელმე ბანკში აოის თუ არა დარჩენილი ქვაოიანის მიეო შეტანილი რაიმე თანხა. (სავსებით დასაშვებია, რომ იგი არ აოსებობდეს და [illegible] ხსოოდ დარჩენილმა ლუკმა-პურისათვის გამოიყენა. ეოთ-ეოთ ბოლო წეოილში იგი ხომ სწერდა მიშიკო მაჩაბელს: თუ ოო დღეში ბინის ქირა არ გადავუხადე, ბინის პატრონი გაოეთ გამოგდებას მიპიოებსთ). ამისი დადგენა, ეფიქრობ, ჩვენს ოფიციალურ ორგანოებს არ გაუჭირდებათ. მაგრამ ეს ანაბი რომ აო აოსებობდეს კიდეც, განა ამოიწურა ამ ბოლო ანდერძის აღსრულების ყველა შესაძლებლობა? ავიღოთ თუნდაც ეოთი ბოლო ღონისძიება, რის შესახებაც ქუთაისელმა კოლეგებმა, კეოძოდ, ცნობილმა ვეტეოანმა მოჭიდავემ ეორა სიხაუოიძემ შემატყობინა. ქუთაისის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა, აგრეოვე სპორტული, საზოგადოებრიობა უახლოეს ხანში აპიოებენ ორი გოლიათის, კოლეგისა და სპორტული მეგობრის კოლია ქვაოიანისა და მიშიკო მაჩაბელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარებას იმ ანგარიშით, რომ შემოსული თანხა საკეელმოქმედო მიზნით იყოს გამოყენებული. ეოდ, რა უნდა იყოს იმაზე დიდი ქველმოქმედება, თუკი შეუსოულებ უკანასკნელ ანდერძს ადამიანს, რომელმაც 20-იან წლებში საქეყნოდ განადიდა ქართული სპორტი და საქართველოს სიყვარული თან ჩაიტანა საფლავში. მეეო, გარკვეული თანხის გადახდაზე არც სხვა ორგანიზაციები დაიხევენ უკან. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სპორტული მოძრაობის წარმომადგენლები, ქვაოიანის თანამედროვე კოლეგა-მოჭიდავეები, რომლებიც წლების მანძილზე თეინიერად იხდიან წყალში დამბვიჩვალთა. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას, დოსაფისა და კიდევ მოავალ შეწეილი უაზრო გადახახადს. — ამ შემოხვევაში შეგნებული მცირედი წეილის გიღებით პოონათლად მოიხდიან ვალს ცნობილი მამულიშვილის ხსოვნის წინაშე და ხელს შეუწყობენ მისი სანუკვარი ოცნების აღსრულებას.

ავთანდილ ციბაძე.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ერთი მედლით მეტი

(დასასრული)

სანანია, რადგან ჩვენ, უახლოეს წარსულში კი არა, უფრო ადრეულ პერიოდშიც გვყავდა საუკეთესო ფალავნები.

ამიტომ, განსაკუთრებით სასიხარულოა ახალგაზრდების მიღწევები. თუმცა „დიდ სპორტში“ კონკრეტულ შედეგებზე ჯერ საადრევია ლაპარაკი. ქვეყნის ნაკრებში არიან გურამ გედეხაური და ბეგი დარჩია, გვყავს რამდენიმე იმედისმომცემი ახალგაზრდა. ჯერჯერობით სულ ეს არის.

— ამჟამად ჩვენთან თაობათა ცვლა მიმდინარეობს, — გვითხრა საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა მიხეილ სალაძემ, — ძალზე ახალგაზრდული გუნდი გვყავს...

ახალგაზრდული გუნდი, მით უმეტეს მოჭიდავეებისა, თავისთავად, პერსპექტიულობასაც გულისხმობს... საქართველოს ჩემპიონატშიც გუნდის თითქმის ყველა წევრი ჩაება. „წინასწარ საგანგებოდ გავაფრთხილეთ, — თქვა მ. სალაძემ, — თავადაც ყველამ მოისურვა ჩემპიონატში მონაწილეობა. სარბიელზე არ გამოსულან მხოლოდ გედეხაური და დარჩია — ქვეყნის ნაკრების წევრები...“

„კლასიკოსთა“ ამ შეჯიბრებისა არ იყოს, საქართველოს ჩემპიონატები ჭიდაობის სხვა სახეობებშიც ძირითადად თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სპორტსკოლის სტუმართმოყვარე დარბაზში ტარდება, თავისებურ „შინაურულ წრეში“, სადაც ყველა ჭიდაობის მცოდნე და დამფასებელია. ამის გამო შეჯიბრებას არ აბლავს ზარ-ზეიმი (ცოტაა მაყურებელი და ოფიციალობა), მაგრამ ასეთი გარემო მწვრთნელებს მეტად აძლევს საუკეთესოთა შემჩნევა-გამოვლენის საშუალებას. მაყურებელთა ნაკლებობა იმდენად არც იგრძნობა მცირერიცხოვანი, მაგრამ კვალიფიციური აუდიტორიის დიდი აქტიურობისა და მხარდაჭერის გამო, ეს კია, ცნობილი მოჭიდავეების დასწრება თავისებურ ინტერესს შემატებდა ჩემპიონატს. ამჯერად კი ასპარეზობაზე ვეტერანთაგან მხოლოდ ვახტანგ ბლაგიძე და კიდევ ორიოდე ცნობილი მოჭიდავე მივიდა.

როცა ძლიერი მოჭიდავეების სიჭარბე არ არის, ფავორიტი უფრო ფავორიტობს და სხვებისგან გამორჩეული მოჭიდავეები დიდ წინააღმდეგობას მხოლოდ ფინალის მისადგომებთან, ანდა ფინალში თუ ხვდებოდნენ. 52 კგ წონითს კატეგორიაში გადამწყვეტ შერკინებაში ძალზე სწრაფად მოიპოვა წმინდა გამარჯვება თბილისის გუნდის წევრმა ზურაბ ნიჭაბაძემ. გაამართლა ფავორიტის სახელი მისმა თანაგუნდელმა დამირ კირცხალიამ (57 კგ). 62 კგ წონითს კატეგორიაში მარტყოფელი კობა გულიაშვილი აშკარად ძლიერი იყო მეტოქეებზე და დამჯერებლად მოიპოვა ჩემპიონობა. მოულოდნელი არ გახლდათ აგრეთვე გელა პაპაშვილის, ვასილ ონიანის, კობა ოჩიგავას, ჯემალ ბაკურაძისა და, ცხადია, გოგი კოღუაშვილის გამარჯვებაც.

პრინციპული იყო 100 კგ წონაში გამართული ფინალური შეხვედრა ზაურ ივანიშვილსა და თენგიზ თედორაძეს შორის. სხვადასხვა დროს ორივე მსოფლიო ჩემპიონი იყო ახალგაზრდებში. შემდეგ ივანიშვილს, იმედის მომცემ ათლეტს, გარკვეული მიზეზების გამო შედეგები გაუუარესდა და ზოგმა ხელიც კი ჩაიქნია მასზე.

იმ შერკინებაში კი სულ სხვა— შემართული, ენერგიული მოჭიდავე ვიხილეთ. მის მეტოქეს, ასევე ძლიერ, მზარდ ფალავანს, სამწუხაროდ, მტკივანი ფეხი აწუხებდა, მაგრამ მაინც გამოვიდა ხალიჩაზე. ცხადია, მან მთელი თავისი ძალა ვერ გვიჩვენა. საბოლოოდ მცირე უპირატესობით გიმარჯვა ივანიშვილმა.

— რომელ გუნდებს აღნიშნავდით პირველ ყოვლისა? — ვკითხეთ მიხეილ სალაძეს.

— ფავორიტი, ცხადია, თბილისის გუნდია, ტრადიციულად კარგად გამოდიან ქუთაურებიც. უკეთეს შედეგს ველოდი ბათუმელი და ბორჯომელი მოჭიდავეებისაგან... ქუთაისში კლასიკური ჭიდაობა ძიუდოსთან და რაგბისთან ერთად კარგად განვითარებულ სახეობად ითვლება. ეს არის ჭიდაობის არც ისე დიდი, მაგრამ მეტად ნაყოფიერი ცენტრი, რომელსაც ჯემალ ეოსტავა ხელმძღვანელობს. „ახალახან ორი ახალგაზრდა სპეციალისტი ამოგვიდგა მხარში, — გვითხრა მან.— აკაკი ჯანგავაძე და ვალერი ბოყოველი. ბავშვთა სპორტსკოლაშიც შუმაობენ მწვრთნელები. ამასთან „დინამო“ ჩვენთან ჭიდაობის სპორტსკოლის გახსნას აპირებს, უკვე ააშენა დიდი დარბაზი... გვეხმარება ჩვენი ყველაზე სახელოვანი ფალავანი თენგო აფხაზავა. მოკლედ, პირობები არის... ამ შეჯიბრებაში უკეთესად შეგვეძლო გამოსვლა, თუმცა შარშანდელი პოზიცია მაინც არ დაგვითმია...“

შემდეგ აჭარის გუნდის ამბავი ვკითხეთ იქაურ მწვრთნელს ილია ტყეოუშს.

— სანახევროდ ჩვენი ხელით აშენებული დარბაზი მაგიდის ჩოგბურთელებს გადასცეს. ახლა იქ მგონი კოოპერატივებსაც ხსნიან. ასეთ პირობებში რა გინდა გაკეთო? ეტყობა, ჭიდაობა აღარ აინტერესებთ. ქალაქში მოზრდილ მოჭიდავეს ვერ ნახავ, მხოლოდ ბავშვები თუ ვარჯიშობენ...

ქვემოთ, პრიზიორთა შორის, აჭარის წარმომადგენელთა გვარებსაც შეხვდებით, მაგრამ ამ გუნდმა, ისევე, როგორც სხვა რამდენიმემ, ის სპორტსმენებიც გამოიყენა შემადგენლობაში, რომლებიც კარგ ხასიათი თბილისში იმალლებენ ოსტატობას.

მ. სალაძემ მოწინავე მწვრთნელებს შორის დაასახელა... ოზურგეთელი სამი ძმა, ზურაბ, ომარ და იური ზურაბიანები...

— თქვენი აზრით, როგორია ჩვენი გუნდის პერსპექტივა მომავალ საკავშირო ჩემპიონატზე? — ვკითხეთ უფროს მწვრთნელს.

— გასულ შეჯიბრებაში თითო ოქროსა და ვეცხლის მედალი მოვიპოვეთ. ახლა ერთი ჯილდოც რომ მივუმატოთ, ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის კარგი იქნება. ოღონდ ისიც მინდა ვთქვა, რომ ზამთრისთვის ვემზადებოდით, ჩემპიონატი კი რატომღაც მაისისთვის გადაიტანეს. რა მოხდება, შეიდი თვის შემდეგ, ამის თქმა ახლი ძნელია. მანამდე ზონალურ პირველობებში უნდა გამოვიდეთ.

განმარტებისთვის ვიტყვით, რომ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა შემადგენლობა ზონალური ტურნირების შედეგების მიხედვით ზუსტდება. გარდა ამისა, ფინალში სასპარეზოდ პერსონალურად დაიშვებიან ქვეყნის ნაკრების წევრები და წევრობის კანდიდატები.

— რა საჭიროა ეს ზონები? — უკმაყოფილო იყო ჩვენი ღვაწლმოსილი მწვრთნელი ილია ჩხარტიშვილი. — ახლა ისეთი ჭიდაობაა, ყოველ წამს შეიძლება გაფრთხილება მოგცენ და წაგება ჩაგითვალონ. ეს ყველაზე ხშირად სწორედ ზონალურ შეჯიბრებებში ხდება, თანაც ასე ისჯებიან ჩვენი ყველაზე ძლიერი მოჭიდავეები. ჯობდა მონაწილეთა რაოდენობა წინასწარ განესაზღვრათ — ლიმიტი დაეწესებინათ. მაშინ უკეთესად გამოვიდოდით. არადა დასანანია, ბიჭები ახლა კარგად არიან მომზადებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ შეჯიბრებაზე არც ერთი მათგანი სერიოზულად არ დაშავებულა...

საქართველოს ჩემპიონატის დასასრულს განაწილდა პრიზებიც. ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ აღიარეს კობა გულიაშვილი; როსტომ აბაშიძის სახელობის პრიზი მიიღო გოგი კოღუაშვილმა, მიხეილ სალაძის სახელობისა — ზაურ ივანიშვილმა. დაჯილდოვდნენ საუკეთესო მსაჯებიც: ბათუმელი გელა ჯანელიძე, ქუთაისელი ვალერი ბოყოველი, სენაკელი ალეკო მურღულია.

კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და „საქსპორტფაკრობამ“ შეიძინეს პრიზები ჩემპიონატის მონაწილეებისთვის, მაგრამ ახალოგიური შეჯიბრებისთვის უფრო, ასე ვთქვათ, სოლიდური იერის მისაცემად, ინტერესის გაზრდისთვის ალბათ მეტია საჭირო. ჭიდაობას საქართველოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და, იმედია, მომავალში ორგანიზატორებს მეტი გულუხვობის საშუალება ექნებათ.

ბიორგი ჩოჩიშვილი.

ᲥᲕᲐᲠᲪᲮᲚᲜᲐᲒᲔᲚᲘ

48 კგ. 1. გელა პაპაშვილი (თბილისი), 2. ოთარ ბაკურაძე, 3. რამაზ შანიძე (ორივე — ბათუმი).

52 კგ. 1. ზურაბ ნიჭაბაძე; 2. ბადრი ბოლქვაძე, 3. თენგიზ რაზგოიანი (სამივე — თბილისი).

57 კგ. 1. დამირ კირცხალია (თბილისი), 2. გიგა ჯულაყიძე (სამტრედია), 3. რამაზ ყაზარაშვილი (თბილისი).

62 კგ. 1. კობა გულიაშვილი (მარტყოფი), 2. კოტე მულაძე, 3. დიმიტრი მულაძე (ორივე — ბორჯომი, ტყუპი ძმები არიან).

68 კგ. 1. ვასილ ონიანი (ქუთაისი), 2. რევაზ ალანდაძე (ბორჯომი), 3. აკაკი ჩაჩუა (თბილისი).

74 კგ. 1. კობა ოჩიგავა (სენაკი), 2. გიორგი ადეიშვილი, 3. რამაზ გუდაძე (ორივე — თბილისი).

82 კგ. 1. ჯემალ ბაკურაძე (ბათუმი), 2. გიორგი ჭანკვეტაძე (ქუთაისი), 3. დავით ქარსელაძე (თბილისი).

90 კგ. 1. გოგი კოღუაშვილი (ქუთაისი), 2. ზვიად ჩხარტიშვილი, 3. მიხეილ გედეხაური (ორივე — თბილისი).

100 კგ. 1. ზაურ ივანიშვილი (მარტყოფი), 2. თენგიზ თედორაძე (თბილისი), 3. გოჩა ბანძელაძე (ქუთაისი).

მძიმე წონა. ფინალში ორივე ფალავანს წაგება ჩაეთვალა და პირველი ადგილი არავის მიეკუთვნა. 2. ზაურ ცხადაძე და ვასილ ქარსელაძე (ორივე — თბილისი), 3. ვალერი გოქაძე (ქუთაისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 34-ე და 35-ე ტურების შეხვედრები.

„პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია" (ხაშური) 1:2. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: მაღრაძე (პოლ. ინსტ.), ქიმერიძე, ნოზაძე („ივერია").

„ხაპოვნელა" (თერჯოლა) — „სიონი" (ბოლნისი) 6:4. მსაჯი ხ. ისაბეგოვი (თბილისი). გოლები: ბოქორიშვილი, ტუკვაძე-3, ლილუაშვილი, კუტივაძე („ხაპოვნელა"), ტუკვაძე-3, ხუჯაძე („სიონი").

„დინამო" (გაგრა) — „ხამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:2. მსაჯი ი. კახიანი (სამტრედია). გოლები: ჯიშკარიანი, მანაგაძე-2 („დინამო"), ქორჩავა-2 („ხამეგრელო").

„შადრევანი" (წყალტუბო) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი) გოლები: ოთმაძე-2 („შადრევანი").

„ამირანი" (ოჩამჩირე) — „მაღაროელი" (ქიათურა) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლი: მ. კაკუბავა („ამირანი").

„მზიური" (გალი) — „ხპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი). გოლი: ა. ყოლბაია („მზიური").

„დინამო" (ზუგდიდი) — „ხქური" (წალენჯიხა) 5:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლები: მაქაცარია-2, ათაჩიძე-2, მიქაბერიშვილი („დინამო"). ერბუნია („ხქური").

უკანასკნელ თამაშისთვის გაათავისუფლეს გ. ჯავაშვილი („დინამო") და ი. შაბაგა („ხქური"). ბოლო მსაჯთან კამათისთვის — ჯ. კვარაცხელია („ხქური").

„ხულორი" (ვანი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 1:0. მსაჯი ტ. ტოროსიანი (ხობუმი). გოლი: დვალიშვილი („ხულორი").

„დურუჯი" (ყვარელი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1. მსაჯი დ. კალანდია (ზუგდიდი). გოლები: ცეროცვაძე, ჭუნაშვილი, კობახიძე („დურუჯი"). ბონია (ფიზკულტ.).

„არმაზი" (მცხეთა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ი. ბარნოვი (თბილისი). გოლი: ალუბეროშვილი („არმაზი").

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:1. მსაჯი ზ. ჭინჭარაძე (ოზურგეთი). გოლები: ნასყოფიერი, შონია-2 (ფიზკ. ინსტ.), მეზვრიშვილი („არაგვი").

„ივერია" (ხაშური) — „ხულორი" (ვანი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„ბახტრიონი" (ახმეტა) — „დინამო" (ზუგდიდი) 4:5. მსაჯი ე. ხილაძავა (თბილისი). გოლები: თედორეშვილი, გაგნაძეიანი-2, ნაბელიშვილი („ბახტრიონი"), ჯავაშვილი, ჯაჯობია, ყუჩავა, ათაქიძე-2 („დინამო").

„ხქური" (წალენჯიხა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:2. მსაჯი დ. შავგულიძე (რუსთავი).

„მაღაროელი" (ქიათურა) — „შადრევანი" (წყალტუბო) 2:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი). გოლები: ტეფნაძე, გეკლესიანი („მაღაროელი"), ჩიტლაძე („შადრევანი").

მსაჯთან კამათისთვის გაათავისუფლეს ი. გიორგობიანი („შადრევანი").

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დინამო" (გაგრა) 1:1. მსაჯი ზ. ფარცვანია (ზუგდიდი).

„ხამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ხაპოვნელა" (თერჯოლა) 2:1. მსაჯი რ. ხეჩოიანი (თბილისი) გოლები: ბენდელიანი, ქორჩავა („ხამეგრელო"), კუტივაძე („ხაპოვნელა").

„სიონი" (ბოლნისი) — „ხპარტაკი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ქობულაძე, ჩუჯაძე, ტყაკაძე („სიონი").

„დინამო" (გაგრა) — „ხქური" (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ვ. ჯულაყიძე (სამტრედია). გოლები: მანაგაძე-2 („დინამო").

„ხამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „შადრევანი" (წყალტუბო) 1:0. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია). გოლი: გოგუა („ხამეგრელო").

„დინამო" (ზუგდიდი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი ა. ნიშნიანიძე (ტყიბული). გოლები: მაქაცარია, მიქაბერიშვილი, გოგოხია („დინამო"), ავალდიანი („ამირანი").

„დინამო" (ზუგდიდი) — „ხაპოვნელა" (თერჯოლა) 5:0. მსაჯი ვ. ფოლადაშვილი (რუსთავი). გოლები: მაქაცარია, ჯავაშვილი, ყუკავა, ჯაჯობია, გოგოხია („დინამო").

ბოლო ტურის თამაშებზე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გალში არ ჩავიდა კალენდარული შეხვედრის ჩასატარებლად. ბოლნისის „სიონი" არ გამოცხადდა ზუგდიდში ადგილობრივ „დინამოსთან" სასპორტოდ ყვარელში სათამაშოდ არ ჩავიდა გალის „მზიური". ზემოთ ჩამოთვლილ გუნდებს ჩაეთვალათ წაგება.

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„შირაქი" — „ქიზიყი" 2:1. „ნორი" — „სამგორი" 2:1. „ოთხფურნუ" — „ალბეთი" 1:3. „ალბეთელი"-სპორტ-ინტ. — „მეტალისტი" 2:5. „გარეჯი" — „თელავი" 3:1. „ფრიალეთი" — „ნინოწმინდა"-სპორტ-ინტ. 2:2. „სამგორი" — „ალბანეთი" 1:2. „მეტალისტი" — „ოსი" 1:1. „ოსი (მუხრანი) — „ოთმანეთი" 3:1.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ახალი" — „მესხეთი" 0:3. „იბერია" — „მეშახტე" 3:1. „ოჯალეში" — „ქართლი" 2:2. „მამისონი" — „თორი" 2:2. „ჩხერიმელა" — „განთიადი" 2:0. „თორი" — „ჩიხური" 1:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ხვამლი" — „ბეთლემი" 3:2. „მშენებელი" — „ეგნისი" 1:0. „მეშახტე" — „სალხინო" 2:0. „ფაზისი" — „იმერეთი" 0:0. „ჩიბათი" — „დარნელი" 5:2. ბოლ. ინსტ. (ქუთაისი) — „ოდიში" 0:0. „სუბტროპიკი" — „ნაოინჯი" 1:3. „ზანა" — „მენავთობე" 4:1. „დარჩელი" — „ბახმარო" 4:1.

თამაშებზე არ გამოცხადდნენ ლაგოდეხში — მარნეულის „ალგეთი", თელავში — წოლელწყაროს „ბოიანქი", საჩხერეში — ასპინძის „ვარძია". დებულების თანახმად ამ გუნდებს წაგებები ჩაეთვალათ.

ფეხბურთი

II ლიგა

IX ზონა

ბათამაშეგების საბოლოო ცხრილი

	ო.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" ს.	42	29	7	6	92-35	65
„ალტ." ფ.	42	25	8	9	72-35	58
„ტექსტილ."	42	24	9	9	83-32	57
„ლოკომ." ს.	42	23	6	11	74-48	54
„ალტ." ბ.	42	22	9	11	67-51	53
„ფალა"	42	23	6	13	87-60	52
„ხპარტ"	42	23	4	15	72-48	50
„ალიაზანი"	42	22	4	16	63-49	48
„ბაზალეთი"	42	21	6	15	70-54	48
„[illegible]"	42	19	5	18	66-64	43
„[illegible]ალი"	42	18	7	17	51-71	43
„[illegible]ტრ."	42	18	6	18	68-61	42
„მეტალურ."	42	16	10	16	68-67	42
„ბაზარი" ს.	42	16	9	17	62-62	41
„ტორპ."	42	16	8	18	63-41	40
„ლოკომოტივი" ბნ. წყ.	42	14	8	20	50-63	36
„დინამო" ბ.	42	11	13	18	56-56	35
„ბაზარი" ლ.	42	14	4	24	34-75	32
„ატომმაში"	42	12	5	25	56-84	29
„შევარდ."	42	11	6	25	48-79	28
„ბაკინელი"	42	7	5	30	31-95	19
„[illegible]ომც"	42	4	1	37	41-139	9

ხვალ ფინალია

დასასრულს უახლოვდება თბილისის უბნების ტრადიციული ჩემპიონატი ფინფეხბურთში, რომელსაც კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი ატარებს.

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ამ ასპარეზობის დასკვნითი შეხვედრები, რომლებიც გამოავლენს ქალაქის ჩემპიონებს და პრიზიორებს.

მატჩების გაბოიგი ასეთია:

მატჩი III ადგილისათვის: „დიღომი" — „საბურთალო-3", დასაწყისი 19 სთ.

მატჩი I-II ადგილებისთვის: „დიდუბე" — „საბურთალო-1", დასაწყისი 20 სთ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ყველაზე მდიდარი იტალიელი

როგორც უცხოეთის სპორტული პრესა იუწყება, დღეისათვის ორი ყველაზე უფრო მდიდარი იტალიელი ფეხბურთთან პირის დაკავშირებული. „მილანის" მეპატრონის (ოფიციალურად მას კლუბის პრეზიდენტი ეწოდება) სილვიო ბერლუსკონის ქონება ახლა 2,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახლა ბერლუსკონი იტალიაში სიმდიდრით ყველას აღემატება.

მეორე ადგილზეა ტურინის „იუვენტუსის" (და ავტოკონცერნ „ფიატის") მეპატრონე ჯაი ანელი. როლის ქონება 1.7 მილიარდი დოლარია.

კლატინიმ აგონემენტი შეიძინა

მიშელ პლატინი. გარდა იმისა, რომ საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს, ამავე დროს კლუბ „ნანსის" ვიცე-პრეზიდენტიცაა, სადაც იგი ოდესღაც თამაშობდა. ახლა „ნანსი" უმნიშვნელო კლუბად ითვლება და მეორე დივიზიონში გამოდის. პლატინიმ გულშემატკივრებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ გუნდს, დასახა ღონისძიებები მისი შემადგენლობის განსამტკიცებლად და... შეიძინა აბონემენტი „ნანსის" თამაშებზე დასასწრებად.

თადარიგი ადრე დაიჭირეს

ჯერ რა დროს ევროპის 1992 წლის ჩემპიონატზე ზრუნვაა, შეიძლება იკითხოს მკითხველმა, მაგრამ საქმიანი ადამიანები ასე არ ფიქრობენ.

ევროვიზიამ უეფა-სთან დადო ხელშეკრულება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების გადაცემის შესახებ და საამისოდ 25 მილიონი შვეიცარიული ფრანკი გადაიხადა.

შერჩევა დაიწყო

— გავშვები ჯერ სამბოთი იწყებენ ჭიდაობას, მერე გადადიან იუდოში, თუ კი იქ წარმატებას ვერ მიაღწევენ, მერე, უკვე მოზარდია ასაკში, უკან გვიბრუნდებიან.— ახლავრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად დაიჩივლა სამბოს ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა. ამ თვალსაზრისით კი და უკმისოდაც შეიძლება კვარაუდოთ, რომ საქართველოში მოსწავლე-სამბისტთა ორგი გუნდის დაკომპლექტება შეიძლება: მკაცრი სპეციალიზაცია ამ ასაკში ამდენად არ იგრძნობა და სპორტსმენის აქეთ-იქით (სამბოდან იუდოში და პირიქით) „მოგზაურობა" ჯერ კიდევ იმდენად მტკივნეული არ არის.

ამიტომ, არა გვგონია, რომ საქართველოს მოსწავლე-სამბისტთა გუნდის ხელმძღვანელები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წინ ამაზე განსაკუთრებული პრობლემების წინაშე იდგნენ.

მათ უკვე ჩაატარეს გუნდის კანდიდატების პირველი შემოწმება, ამ დღეებში აშბროლაური მაპინძლობდა საქართველოს სახალხო განათლების საბინისტროს პირველობას. ამბროლაურში პირველად ჩატარდა სამბისტთა ასპარეზობა და მასპინძლებმა, განსაკუთრებით კი ადგილობრივი სპორტსკოლის დირექტორმა ომარ ბრეგაძემ, ყველაფერი გააკეთეს ტურნირის მაღალ დონეზე ჩასატარებლად, მით უმეტეს, რომ იქ არც ისე დიდი ბნის წინთ კარგი დარბაზი აშენეს. ოღონდ ეგ იყო, იქაური ფალავნებიდან ვერც ერთმა ვერ გაიმარჯვა, ამბროლაურში ძირითადად თავისუფალი ჭიდაობა არის დანერგილი და ძლიერი სამბისტები ჯერ არ ჰყავთ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველობაზე არ გამოდიოდნენ გორისა და ცხინვალის მოჭიდავეები, შეჯიბრებაზე 180-მდე მონაწილემ მოიყარა თავი. ტრადიციულად ძლიერად გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, საგარეჯოს, ახმეტის, თელავის, მესტიის მოჭიდავეები. აღსანიშნავია ვანელთა მიღწევაც, რომელთა ოთხი წარმომადგენელი გახდა პირველობის პრიზიორი.

გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას წონითი კატეგორიების მიხედვით: **35 კგ.** ნესტორ ხერგიანი (მესტია); **38.** ვასილ ხელაშვილი; **41.** გოგიტა ჯალალი; **44.** მიხეილ აბაშიძე (სამივე — თბილისი); **47.** ლევან ალფაიძე (ქუთაისი); **50.** თამაზ წამალაიძე (თბილისი); **53.** გოგიტა რევაზიშვილი (საგარეჯო); **56.** აკაკი გავაშელი (გარდაბანი); **59.** არკადი ზასეშვილი (ახმეტა); **62.** თამაზ პაკაცოშვილი; **65.** ოთარ ჩარბაძე (ორივე — თელავი); **68.** ნოდარ შაქარაშვილი (საგარეჯო); **71.** ჯონდო ნაცვლიშვილი (ქუთაისი); **74.** გოგიტა ქარსაულიძე (საგარეჯო); **77.** ვანო არაბული (თბილისი); **+71.** ნიკო ნიკოლაძე (ქუთაისი).



ტრანსპორტელ მუშაკთა სპარტაკიადა

ტრანსპორტელის დღეს მიეძღვნა თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების მუშაკთა პროფკავშირების მეორე სპარტაკიადა, რომელიც სპორტკლუბ „სინათლის" ბაზაზე გაიმართა. დასაწყისში საჩვენებელი გამოსვლები მოეწყო ქართულ ჭიდაობაში და უშუში, შემდეგ ჩატარდა შეჯიბრება ბაგირის გადაძალვაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მამებისა და შვილების ასპარეზობამ სმძიმეების აწევაში. მამებს შორის გაიმარჯვა დეპო ისნის წარმომადგენელმა გენადი ბურჯანაძემ. შვიდლებში საუკეთესო იყო №2 ასს-ის მძღოლის შვილი ვასილ მაჩაბელი.

სპარტაკიადა გრძელდება. შეჯიბრებები გაიმართება ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში, ტყვიის სროლაში და კალათბურთში.

ზურაბ გენგიურის ფოტოები.

სსრ კავშირის პირველობა ფრენბურთში

მთავარია პოზიციის განმტკიცება

ხვალ, 13 ნოემბერს საბჭოთა კავშირის სან ქალაქში სტარტს აღებს I ლიგის ფრენბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობა. ორმოცდაორ 12 კოლექტივი ჩაებმება. მათ შორისაა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი „ვაკე" (მთავარი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ცისანა აბუაშვილი. მწვრთნელი — ვასილ ტკაჩენკო. გუნდის უფროსი — ლევან სტეპანიანი). I ტურში თბილისელები მოსკოვში იასპარეზებენ. ორ-ორჯერ შეხვდებიან ადგილობრივ და ყაზახელ დინამოელებს. ნალჩიკელ ფრენბურთელებს.

შეჯიბრებაზე გამგზავრების წინ შევხვდით და ვესაუბრეთ ც. აბუაშვილს:

— განვლილ სეზონში ჩვენმა გუნდმა წარმატებით ითამაშა. — გვითხრა მან. — გადასასვლელ ტურნირში თორმეტიდან თერმეტი შეხვედრა მოიგო და კვლავ დაუბრუნდა I ლიგას. მოსკოვის ტურირ 19 ნოემბრამდე გასტანს, შემდეგ. I-ი დეკემბერს ნოვოსიბირსკში ვითამაშებთ, 19-24 დეკემბერს კი სამ გუნდს ვუმასპინძლებთ. დანარჩენი თამაშები გაისადაა დგეგმილი. ამ პირველობაში ჩვენი მიზანია პოზიციები განვიმტკიცოთ და პირველ ეშელონში შევინარჩუნოთ ადგილი. ვიცით, რომ ეს არ იქნება იოლი, რადგან. კოლექტივი ახალგაზრდულია და გამოუცდელი. მიუხედავად ამისა, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ მიზნის მისაღწევად.

● ვინ დაიცავს „ვაკის" ღირსებას?

— ესენი არიან: გუნდის კაპიტანი ნინო მღებრიშვილი (დაიბადა 1963 წელს, სიმაღლე 186 სმ), დარეჯან სინჯიყაშვილი (1970, 181), ანეტა თავართქილაძე (1971, 182), ხათუნა გიორგაძე (1970, 183), მარინა მაზიკინა (1964, 178), ნატალია თურმანიძე (1970, 178), ნატალია სალნიკოვა (1970, 172), ნატალია რავა (1970, 177), ლიუდმილა ტარანი (1970, 176), ნინო მეტრეველი (1969, 173), თამარ ლატარია (1971, 171), ინა ფიროვა (1971, 179), ინგა ჩებანი (1972, 178), ეთერ ფირცხალაიშვილი (1972, 178), იზოლდა ციცაძე (1971, 170), ლამარა ურუშაძე (1973, 174).

● როგორ ემზადებოდით პირველობისთვის?

— პროფკავშირთა რესპუბლიკურმა სპორტსაზოგადოებამ და ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ შეგვიწყო ხელი, შეგვიქმნეს პირობები ნორმალური წვრთნისა და დასვენებისთვის. აგვისტოში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიყავით და ზაარ-ბრიუკენის საერთაშორისო ტურნირში პირველობა მოვიპოვეთ, წარმატებით ვიასპარეზეთ საკავშირო უნივერსიადაშიც. საერთო ფიზიკური მომზადება გავიარეთ ბაკურიანში, იქ ორი კვირა დავყავით. ოქტომბრის დასაწყისში ტალინის საერთაშორისო ტურნირში „პიკ ჰერმანის" პრიზზე ვიასპარეზეთ, სადაც ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლენინგრადისა და ესტონეთის გუნდებს შორის მესამე ადგილზე გავედით... სპორტული ფორმებითა და ინვენტარით უზრუნველყოფილი ვართ. მართალია, ჯერჯერობით საკუთარი საწვრთნელი ბაზა არ გაგვაჩნია, მაგრამ იმედი გვრჩება, რომ უახლოეს მომავალში მწყობრში ჩადგება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალი სპორტული კომპლექსი და ჩვენც შვებით ამოვისუნთქავთ — გვექნება ჩვენი საკარჯიშო დარბაზი, სარეაბილიტაციო ცენტრი, დარბაზი ფიზიკური მომზადებისთვის. თანამედროვე ტიპის ტრენაჟორებით აღჭურვილი. ასე რომ, მომავალი წარმატებები გუნდის წევრთა მონდომებაზეა დამოკიდებული და ჩვენც ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ.

ესაუბრა ეკა დანელია.

ჩოგბურთის კორტებზე

„ოლიმპიური იმედები“ — ასე ეწოდებოდა დუშანბეში გამართულ ჭაბუკთა (1976 წელს და ადრე დაბადებულ) საკავშირო ტურნირს ჩოგბურთში. მასში წარმატებით გამოვიდა თბილისელი დინამოელი იოსებ სიამაშვილი, რომელმაც ერთეულთა თანრიგის გადაწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა მინსკელი იური მიხეევი და პირველობა მოიპოვა. ო. სიამაშვილი თანაგუნდელ გიორგი კელაურიძესთან ერთად ვერცხლის პრიზიორი გახდა წყვილთა თანრიგში. ასევითვე ნადავლი მოიპოვეს ტაჯიკეთის კორტებზე ჩვენმა გოგონებმაც — ნინო ლუარსაბიშვილმა და ირინე ბახტაძემ. პრიზი „საუკეთესო ტექნიკისათვის“ გადაეცა თბილისელ დინამოელს ლევან გელაშვილს.

ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის გმირის ა. ათანესიანის მემორიალი — ახალგაზრდათა საკავშირო ტურნირი. 1976-1977 წლებში დაბადებულ გოგონათა საპატიო კვარცხლბეკი მთლიანად თბილისელთა იყო. პირველობა ნინო შავიძემ მოიპოვა, მეორეა ირინე ბახტაძე, მესამე — ნინო ნუბაროვა. სამივე თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის სკოლის წარმომადგენელია. ამავე ასაკის ჭაბუკთა შორის ვლადიმერ მარგალიტაძე მეორე იყო ერთეულთა თანრიგში. მისი თანაგუნდელი ალექსანდრე ეძგვერაძე კი — მესამე, 1978-1979 წლებში დაბადებულთა ტურნირში ჩვენი გოგონები ია ბახტაძე და ნინო ნალბანდიანი ერთეულთა თანრიგში შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ.

მოსკოვის ღია პირველობაზე თავი ისახელა თბილისელმა ნინო ლუარსაბიშვილმა (პროფკავშირების სპორტსახოგადოება), რომელმაც გოგონათა შორის ერთეულთა თანრიგში მეორე შედეგით დაამთავრა ტურნირი. მან ფინალური შეხვედრა დათმო მასპინძელ ნატაშა ივანოვასთან.

არტემ ბალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

დაფებს უსხედან მოსწავლეები

ბათუმი. როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იცოდა, ამ შავიზღვისპირა ქალაქში მიმდინარე უფროსი ასაკის მოსწავლე გოგონათა რესპუბლიკური პირველობის თავიდანვე ლიდერობდა საქართველოს ჩემპიონი ქალთა შორის ნინო ხურციძე. მან ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლა და 17 შესაძლებლიდან 15,5 ქულით შეინარჩუნა საქართველოს მოსწავლეთა ჩემპიონის სახელი. გარდა ამისა, ნინომ მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში მონაწილეობის უფლება მიიღო (მას ავარჯიშებს მისივე ბიძა ელგუჯა ფხაკაძე). 14 ქულით II ადგილი დაიკავა ინგა ხურცილავამ. იგი რამდენიმე წელია, რაც ხონიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ახლა თბილისის პიონერთა სასახლეში მეცადინეობს ვლადიმერ ურიდიას ხელმძღვანელობით. 12 ქულით მესამე იყო თბილისელი თამარ ფაჩულია (მწვრთნელი გია ბაღათუროვი). 12 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ბათუმელმა დიანა დარჩიამ 11,5 ქულა მოაგროვა და IV ადგილს დასჯერდა. 11 ქულით მეხუთე შედეგი ჰქონდა ფოთელ თეა სახოკიას. 10-10 ქულა მოაგროვეს თბილისელებმა მაია ლომინეიშვილმა და ნინო ღლონტმა.

ჭაბუკთა პირველობაში მძაფრი ბრძოლა ბოლო ტურამდე აღ. მეწყვეტილა. საბოლოოდ ქუთაისელმა შოთა კუპუხიძემ (მწვრთნელი ალექსანდრე რაზოვსკი) 13,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ თბილისელ მიხეილ კეკელიძეს (თბილისის პიონერთა სასახლე, მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე). ნინო ხურციძის მსგავსად, შოთა კუპუხიძეც ითამაშებს მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში. 11,5-11,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს სენაკელმა რომან სოკინავამ და თბილისელმა ბექა კვარაცხელიამ. უკეთესი კოეფიციენტის გამო III ადგილი კვარაცხელიას ხვდა (მწვრთნელი ოთარ თურქესტანიშვილი). 11-11 ქულა მოაგროვეს რუსთაველმა ზურაბ იგრიაშვილმა და თბილისელმა კახა ხაბურზანიამ.

ბიორგი ბაბარაშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ტელეფონით.

• • •

ჩოხატაური. აქ ჩატარდა 13 წლამდე ასაკის მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობა ჭადრაკში. ფიფონათა ტურნირში 14 მონაწილე იყო. ჭაბუკებში — 16. გოგონებში ყველას აჯობა ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის მეექვსეკლასელმა ირინე გიორგოლიძემ (მწვრთნელი — გიორგი ქანთარია). 9-9 ქულით II-IV ადგილები გაიყვეს თბილისის 107-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ მილენა ესაიბეგიანმა (მწვრთნელი ზეზვა თანდაშვილი), ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ ნათია აფხაიძემ (მწვრთნელი ალექსანდრე ოჯზოვსკი) და სოხუმის მე-11 საშუალო სკოლის მეხუთეკლასელმა რუსუდან გოლეთიანმა (მწვრთნელი ნოდარ გელენავა). დამატებითი კოეფიციენტების მიხედვით II ადგილი ესაიბეგიანს ხვდა, III — აფხაიძეს.

ჭაბუკებში 12,5 ქულით პირველობა მოიპოვა თამაზ გელაშვილმა (რუსთავის №5 საშ. სკოლის VI კლასი; მწვრთნელები გიორგი ბიბილაშვილი და ოთარ თურქესტანიშვილი). 11 ქულით მეორე შედეგი ჰქონდა გიორგი ყაჭეიშვილს (თბილისის 51-ე საშ. სკოლის VII კლასი; მწვრთნელი დავით პაჭაშვილი). 10,5 ქულით III ადგილი დაიკავა ლევან ქოქოშვილმა (გორის რაიონის სოფელ სკრის საშუალო სკოლის მოსწავლე; მწვრთნელი ოთარ დოლიძე); ამდენივე ქულა მოაგროვა ვიქტორ დუნდუამ (თბილისის 124-ე საშუალო სკოლის მოსწავლე), მაგრამ უარესი კოეფიციენტის გამო იგი IV ადგილს დასჯერდა.

ამირან ბერძენიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ვ. რაფავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველ მორაგბეთა პირველი თაობის წარმომადგენელი ვალენტინ რაფავა.

მისი მოსვლა დიდ რაგბიში დაეშთხვა იმ პერიოდს, როცა საქართველოში ფეხს იდგამდა სპორტის ეს ვაჟკაცური სახეობა. სწორედ ვ. რაფავასნაირმა ჭაბუკებმა, მხოლოდ მათთვის ჩვეული უსაზღვრო ენთუზიაზმითა და თავდადებით, ჩაუყარეს საფუძველი ქართველ მორაგბეთა ამჟამინდელ წარმატებებს.

ვ. რაფავასთვის ერთოლ წარმატებული გამოდგა სარაგბო საბრძოლო. მისმა მშობლიურმა გუნდმა თბილისის „ლოკომოტივმა“ 1966 წელს პირველ ოფისწემდგომ საკავშირო გათამაშებაში მეექვსე ადგილი დაიკავა, 1967 წელს პროფკავშირთა ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა, 1968 წელს კი პირველ ოფიციალურ ჩემპიონატში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ქარგ სპორტსმენს ოჯახიც სპორტული ჰყავდა. მეუღლე — მარინა რუსკინა თბილისის „ქართშალას“ ქალთაბურთელ ქალთა გუნდში თამაშობდა, ვაჟიშვილი გია — თბილისის „ელმავლის“ მეორე ხაზის მორკინალია.

წავიდა ჩვენგან პატიოსანი და ალალმართალი კაცი, რომლის ხსოვნას სათუთად შეინახავს ეროვნული ქართველი მორაგბე.

საქართველოს სპორტსახკომი,
საქართველოს რაგბის კავშირი,
ვეტერანი მორაგბეები.

„სპორტლოტო“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1989 წლის 45-ე ტირაჟის შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.420.316 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისათვის (31 მოგება) 1.757 მანეთია, ოთხისთვის (1.789) — 35, სამისთვის (31.985) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 34.469 ვარიანტი. 6—0, 5—2, 4—60, 3 — 938.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 14.743.265 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (24) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (4.820) — 140, სამისთვის (161.724) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 393.129 ვარიანტი. 5—0, 4—104, 3—4.244.

45-ე და 36-45 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1989 წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრის ჩათვლით.

• • •

„სპორტპროგნოზი“

ბაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 45-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.531.188 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (3456) მოგება 15 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (56317) — 2 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (202951) — 1 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 116877 ვარიანტი. 13 — 146, 12 — 1878, 11 — 8169.

45-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 29 ნოემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით.

მსოფლიოს საკალათბურთო ოლიმპიადაზე

ნბა და უცხოელები

ნიუ-იორკი. აშშ-ს კალათბურთელთა პროფესიული ლიგის (ნბა) ახლახან დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატში, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, უცხოელ მოთამაშეთა სარეკორდო რაოდენობა გამოდის. აქამდე მათ შორის მხოლოდ ორის გამორჩევა შეიძლებოდა — ნიგერიელი აკიმ ოლაჯუონისა და სუდანელი მანუტე ბოლისა, ახლა მომავალ „ვარსკვლავთა“ სიას რამდენიმე საბჭოთა და იუგოსლავიელი კალათბურთელი დაემატა. ესენია: ვილნიუსელი შარუნას მარჩიულიონისი, რომელიც „გოლდენ სტეიტ უორიორზში“ გამოდის და კიეველი ალექსანდრე ვოლკოვი. იგი „ატლანტა ჰოუკსის“ ღირსებას იცავს.

დიდ ინტერესს იწვევს ნბა-ს ლიგაში იუგოსლავიელთა დებიუტიც. დრაჟენ პეტროვიჩი — „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერზში“, ვლადო დიავაცი — „ლოს-ანჯელეს ლეიკერზში“, ჟარკო პოსპალი კი „სან-ანტონიო სპერზში“ თამაშობენ. სულ მალე „ბოსტონ სელტიკსში“ კიდევ ერთი იუგოსლავიელი „ვარსკვლავი“ დინო რაჯა გამოვა.

„ეს კალათბურთელები, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნბა-ს წარმომადგენელმა მარტინ ბლეიკმა, — ყველა სხვა უცხოელებზე უფრო ძლიერნი და პერსპექტიულნი არიან. არავიდას საბონისსაც რომ „დავითრევდეთ“ ყველა უმაღლესი კლასის კალათბურთელი ნბა-ში გვეკოლებოდა. უცხოელთა გავლენა ამერიკულ კალათბურთზე ბოლო ლროს საგრძნობლად გაიზარდა. მართალია ინგლისურ ენას ისინი ჯერ ვერ ფლობენ, მაგრამ თამაში ბრწყინვალედ იციან“. ბლეიკის აზრით მარჩიულიონისი და პეტროვიჩი უსათუოდ გახდებიან ნბა-ს „ვარსკვლავები“.

ახლა რამდენიმე სიტყვა თავად ჩემპიონატზე, რომელშიც 27 კლუბი მონაწილეობს და რომლებიც აღმოსავლეთ და დასავლეთ კონფერენციებად (ზონებად) არიან დაყოფილნი. პირველი, თავის მხრივ ატლანტიკისა და ცენტრალურ დივიზიონებს (ჯგუფებს) აერთიანებს, მეორე — შუადასავლეთისა და წყნარი ოკეანის დივიზიონებს.

პირველ ტურში ნბა-ს შარშანდელმა ჩემპიონმა „დეტროიტ პისტონსმა“ დაამარცხა „ნიუ-იორკ ნიკსი“ 106:103. გთავაზობთ ტურის სხვა საინტერესო მატჩების შედეგებს: „ინდიანა პეისერზი“ — „ატლანტა ჰოუკსი“ 126:103, „ბოსტონ სელტიკსი“ — „მილუოკი ბაქსი“ 127:114, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზი“ — „დალას მეივერიკზი“ 102:96, „პორტლენდ ტრეილბლეიზერზი“ — „საკრამენტო კინგზი“ 114:96, „ფენიქს სანზი“ — „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ 136:106.

და კიდევ, ერთი დეტალი: ლოს ანჯელესის გუნდში 42 წლის ჭარომ აბდულ ჯაბარი, რომელმაც თავი დაანება თამაშს (იგი 20 სეზონს გამოდიოდა ნბა-ს ლიგაში), შეცვალა იუგოსლავიელმა დივაცმა. „ბოსტონში“ კი ეროწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ მწყობრში ჩადგა სახელგანთქმული ლარი ბიორდი, რომელიც პირველ ტურში ყველაზე შედეგიანი ბომბარდირი იყო — 32 ქულა.

იუგოსლავია

იუგოსლავიის ჩემპიონატის პირველი ტური სიურპრიზებით მდიდარი არ ყოფილა. მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ქვეყნის ვიცეჩემპიონისა და რ. კორაჩის თასის მფლობელის ბელგრადის „პარტიზანის“ დამარცხება „სლობოდასთან“ — 92:103. სავარაუდოა, რომ ულიდერებად (დივაჩი, პასპალი, ჯორჯევიჩი, ობრადოვიჩი) „პარტიზანს“ გაუჭირდება მაღალი შედეგების მიღწევა.

ტურის ცენტრალური მატჩი იყო ზაგრებში „ციბონასა“ და ქვეყნის ჩემპიონის სპლიტის „იუგოპლასტიკას“ შორის. ეს მატჩი თავის შესაძლებლობებზე სუსტად ითამაშეს „ციბონას“ სნაიპერებმა, ხოლო ცენტრების რაჟიჩის (26 ქულა) და არაპოვიჩის (20) შედეგიანობამ საქმეს ვერ უშველა. „იუგოპლასტიკამ“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 97:86.

„ზადარმა“ ახალგაზრდა არიან კომაჟეჩის (29 ქულა) ბრწყინვალე თამაშის შედეგად დაამარცხა „ნოვი ზაგრები“ — 84:76. უაღრესად შეუპოვარი გამოდგა მატჩი სარაეკოში ადგილობრივ „ბოსნას“ და ლიუბლიანის „ისკრა-ოლიმპიას“ შორის. პირველი ტაიმის შემდეგ ძალზე ძნელი საფიქრებელი იყო მატჩის ასეთი დრამატული ფინიში. ტაიმი „ბოსნამ“ მოიგო 16 ქულით — 58:42, მაგრამ შესვენების შემდეგ ზდოვჩის (27 ქულა), ჩურჩიჩის (26), ვილფანის (22) და კოტნიკის (22) თავგამოდებული თამაშით „ისკრა-ოლიმპიამ“ შეძლო გარდატეხა შეეტანა თამაშში და მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 89:89. დამატებით დროში მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა „ბოსნამ“ — 100:99.

იტალია

ამ ქვეყნის ჩემპიონატში გაიმართა ხუთი ტური, საუცხოოდ აიღო სტარტი იტალიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა „სკავოლინიმ“. მან ხუთივე მატჩი მოიგო და ლიდერობს ჩემპიონატს.

სასტარტო მატჩებიდან ყურადღების ცენტრში იყო შეხვედრა რომში, ადგილობრივ „შესაჯეროს“, რომელსაც მიმომხილველები ფავორიტად მიიჩნევენ, და ქვეყნის ჩემპიონ მილანის „ფილიპსს“ შორის. ამ შეხვედრამ არ გააწბილა მაყურებელთა იმედები. რომაელებს ვერ უშველა დანი ფერის (28 ქულა) და ბრაიან ჩერის (31) შედეგიანმა თამაშმა. „ფილიპსმა“ ბობი მაკადუს (39) და ანტონელიო რივას (33) ჩინებული თამაშის წყალობით ძნელი გამარჯვება მოიპოვა — 96:94.

ბოლო ორი ტურის შედეგებიდან ყურადღებას იპყრობს ჩემპიონის „ფილიპსის“ ზედიზედ ორი მარცხი. ჯერ იყო და მეოთხე ტურში მან სტუმრად წააგო მატჩი „ვიოლესთან“ — 87:82. გამარჯვებულთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო გალდველი (34 ქულა). დამარცხებულებში — რივა (29), მაკადუ (26), ხოლო მეხუთე ტურში მიუხედავად რივას (36 ქულა) საუცხოო თამაშისა კვლავ მარცხი იწვნია ვარესეს გუნდთან — 94:98. თავის შესაძლებლობებზე სუსტად აიღო სტარტი კაზერტის გუნდმა (2 გამარჯვება), რომლის შემადგენლობაშიც გამოდის ბრაზილიელი ოსკარ შმიტი.

საბერძნეთი

მეორე ტურის მატჩებიდან დიდ ინტერესს იწვევდა შეხვედრა სალონიკში „არისსა“ და „პაოკს“ შორის. უკომპრომისო მატჩი ნიკოს გალისის (40 ქულა) საუცხოო თამაშის წყალობით „არისმა“ მოიგო — 88:85, აეკმა საკუთარ მოედანზე ათენში სძლია „სპორტინგს“. — 96:71, პირეის „ოლიმპიაკოსმა“, რომელიც შარშან თბილისის „დინამოს“ მეტოქე იყო რ. კორაჩის თასზე, სძლია მეტოქეს—97:86.

ისრაელი

ქვეყნის ჩემპიონატს ორი ლიდერი ჰყავს. ჰაიფის გუნდ „მაკაბის“ ხუთი შეხვედრიდან 4 გამარჯვება აქვს, ხოლო თელ-ავივის „მაკაბის“ ასპროცენტიანი შედეგი აქვს: ოთხი მატჩი 4 გამარჯვება.

პუბლიკაცია მოამზადა
მერაბ კალანდაძემ.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჯიჯინაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
ტელეფონებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10 531